მეუღლეთა შორის თანასაკუთრების გაყოფა განქორწინებისას

თამარი გრძელიშვილი

„სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად“

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ზანდუკელი, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“ [1]

თამარ გრძელიშვილი

20.06.2022

[1]ჯანაშია, ს. და სხვები, თამარ, რედ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილი: სახელმძღვანელო წიგნის,სტატიის, დისერტაციისა და სხვადასხვა აკადემიური ნაშრომის ავტორებისათვის. თბილისი, 2011 წ. გვ 47

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი ორიენტირებულია, წარმოაჩინოს მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების სამართლებრივი საფუძვლები და შედეგები განქორწინებისას.

ნაშრომში განხილულია განქორწინებასთან და ქონებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები. თავდაპირველად განმარტებულია ქონება, როგორც თანასაკუთრების წარმოშობის საფუძველი. ასევე, ცალ-ცალკე არის ამომწურავად საუბარი, როგორც რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლეთა ისე, ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფი მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობებზე. აგრეთვე საუბარია საჯარო რეესტრის როლზე მეუღლეთა ქონებრივ ურთიერთობებთან მიმართებაში.

მომდევნო თავები კი დეტალურად განიხილავს განქორწინების საკითხებს და ამ საკითხებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან დეტალებს, მაგალითად, როგორიცაა მემკვიდრეობა, მეუღლეთა ვალდებულებების გაყოფა, არასრულწლოვანი შვილების ინტერესების გათვალისწინება და თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაყოფის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა. ბოლოს კი, საქორწინო ხელშეკრულებაზე, მის არსზე და სტატისტიკაზეა საუბარი, რაც ვფიქრობ რომ ძალიან საინტერესო და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია.

საძიებო სიტყვები: ქორწინება, განქორწინება, თანაზიარი საკუთრება, ინდივიდუალური საკუთრება, თანასაკუთრების გაყოფა.

Abstract

The present master thesis is focused on presenting the legal basis and consequences of property owned by spouses in divorce. The paper discusses important issues related to divorce and property.

Property is initially defined as the basis for the origin of co-ownership. Also, the property relations of both the spouses in the registered marriage and the spouses in the actual marriage are exhaustively discussed separately. There is also talk of the role of the public registry in relation to the property relations of spouses.

The following chapters discuss divorce issues and important details related to these issues, such as inheritance, division of responsibilities of spouses, consideration of the interests of minor children, and the statute of limitation for claiming the division of coowned property. Finally, we talk about the marriage contract, its essence and statistics, which I think is very interesting and one of the most important issues.

Search terms: marriage, divorce, co-ownership, individual ownership, division of co-ownership.